

## “ბერუა ქრისტესიაშვილი“

ნიკო ლომოურის მოთხრობა „ბერუა ქრისტესიაშვილი“ 1904 წელს დაიბეჭდა „მოამბის“ მეცხრე ნომერში „არბოელის“ ფსევდონიმით. სათაურის ქვეშ ეწერა: „ამ მიწაზე ნახული და გაგონილი ამბავი“. ნაწარმოების სათაური იყო „ძველი ოჯახი“.

ეს ნაწარმოები კრიტიკოს გრიგოლ რცხილადის თვალსაზრისით საზოგადოებას პატრიარქალური ოჯახის შექმნისაკენ მოუწოდებდა. ნ. ლომოურმა არ გაიზიარა მისი თვალსაზრისი და დ. კარიჭაშვილისადმი მიწერილ წერილში აღნიშნა: „ხალხმა ამ მოთხრობის დედააზრად სცნო ისა, რომ ვითომც მე წარსულისაკენ ვუთითებდე მკითხველს და ვქადაგებდე: ხსნა დიდრონ პატრიარქალურ ოჯახების შექმნაშია-მეთქი.

რალა თქმა უნდა შეცდომაა: სიზმრად არ მომჩვენებია ეს აზრი“ („ლიტერატურის მატთანე“, წიგნი 1-2, გვ.51).

ვინც ღრმად ჩაწვდება ნაწარმოებს, ვინც შეიგრძნობს მის სილამაზეს, ვინც დაუკვირდება მწერლის მიერ ერთ დღეში განვლილ გზას, მისთვის ნათელი გახდება ავტორის პოზიცია, მისი სულიერი სამყაროდან ამოხეთქილი ფაქიზი გრძნობები, უძლიერესი სიყვარული მამულისა და ქართველი ერისადმი.

მოთხრობა იწყება პეტრე-პავლობის დღესასწაულით. „გწყალობდეთ, ჩემო ბატონო, მთავარ-მოციქულთა მადლი!“-ლოცავს ქვეყანას, ხალხს მწერალი და მიემართება სოფელ ნაზვრევისაკენ. მოთხრობის პირველ თავში ბუნების ქებათა-ქებაა აღვლენილი. მშობლიური მიწა „უთვალავი ფერთა“ წინ გადაგვეშლება „ღამის ნამით

პირდაბანილი ბუნება, სიცოცხლით სავსე, ახლად გაღვიძებული ბავშვივით მომღიძარე,

ნისლში გახვეული „ქოჩორა ტყით შემოსილი მთის ქედი“, ყვავილთა სურნელით გაჟღენთილი ჰაერი. მწერალს შეეყვართ ტყის სამფლობელოში. „ბურუსში გახვეული უზარმაზარი ხეები მოჩვენების მსგავსად იმართებოდნენ“ მის წინ. მთის უმაღლეს ქედზე ასული ხედავს მთის ამოსვლას, „რომელმაც ზღვა ბურუსისა თოვლივით დააადნო, გაათხელა, პატარ-პატარა ნაგლეჯებად დაგლიჯა“. ნისლი იფანტება. „ეს უზარმაზარი ტყე მოსე წინასწარმეტყველის მაყვლოვან ბუჩქს წააგავდა. ტყეს კომლი ასდიოდა, თითქოს ცეცხლი ეკიდა, მაგრამ კი არ იწვოდა“. ვკითხულობთ და უნებურად გვახსენდება ფსალმუნის სიტყვები: „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს

ადგილსა წმინდასა მისსა? უბრალოი ხელითა და გულითა“ (23-ე ფსალმუნის). ასეთად შევიგრძნობთ ნ. ლომოურს, ღრმად მორწმუნე, ქრისტეს მცნებების მატარებელს, მართალ, ალალ, შრომისმოყვარე, ქვეყნისა და ხალხის ბედზე დაფიქრებულ ადამიანს. მივყვით ნაწარმოებს. ჩვენს თვალწინ გადაიშლება ამწვანებული, ხავერდოვანი, გაშლილი, ნაყოფიერი ველი, რომლის გულზე „მარად გარბოდა პატარა მდინარე... ისროდა აქეთ-იქით მარგალიტ წინწკლებს, ხტოდა, მღეროდა, თამაშობდა“. მისი „სიცოცხლით სავსე ჩქრიალ-ჩუხჩუხი მთელს მინდორს ეფინებოდა“.

მთავრდება პირველი თავი. ვგრძნობთ ჩვენი მშვენიერი ქვეყნის სიუხვეს და სილამაზეს, მაგრამ წინ ახალი საოცრებანი გველოდება. სოფელ ნამგალასთან ცხენი მდინარისკენ იწევს, წყალს ეწაფება. ჰაერში მშვენიერი ჰანგები იღვრება. სიმღერა უადგილო ადგილას შეწყდა. მწერალს მთლად გათეთრებული, ლაზათიანად

ჩაცმულ-დახურული გლეხი მიუახლოვდა. წმინდა გიორგის მადლს ეფიცება, შეისვენოს, უკეთეს სიმღერას მოასმენინებს.

ვინ არის ეს მაღალ შუბლდანაოჭებული კაცი? იგი ბერუა ქრისტესიაშვილია, მეგობარი გაბრიელისა, მწერლის მამისა. შევდივართ სწორ ადგილზე აღმართული უზარმაზარი მუხის ქვეშ. მისი ტოტები „დაუსრულებელ ლაჟვარდ სივრცეში მედიდურად ირხეოდნენ, შრიალებდნენ“. ზოგს განზე წაელო თავები. სქელი ფოთლებით დაბურვილი პაწია ტოტები ძირს დაშვებულიყო, შეკრულიყო კარავი, ზღაპრული დევ-გმირების კარავი“. წვიმის წვეთიც არ დაეცემოდა ახვერდებულ მწვანე ხალიჩაზე, სადაც ლურჯი სუფრა გაეშალათ... ვეცნობით ბერუას ოჯახს, მის მეუღლეს, ხორეშანს, ერთგულს, ოჯახის მკვიდრ სამირკველს. უფროს ვაჟს, „მიწის მგლად“ ცნობილ ზურაბს. შრომაში ტოლს არავის უდებს, მეორე ვაჟს, ზაქარიას, დევ-გმირ ვაჟკაცს, ხელოსანს, გუთნის გამთლელს, მთელ ხმელეთს რომ გადააბრუნებს მისმ წათლილი გუთანნი და ზიანი არ მიადგება. რძლებს სოფიოს და ქეთევანს. ზურაბის სამ ვაჟს, ზაქარიას ოთხ ბიჭს, მათ სამ-სამ ქალს, პატარა მარიკას, ობოლს, ბერუას გათხოვილ ქალიშვილს, ბაბუის იმედს, ყოველთვის მის გვერდით მყოფს ორი პატარა გოგო-ბიჭი კი აკვანში წევს. ოცდაორი სულისაგან შემდგარი ოჯახი განუყოფელი, დაუშლელი და შეკრულია. მათ შორის ერთობა, თანხმობა და სიყვარული გამეფებულია.

მუხის ტოტებისაგან შეკრული კარვის ქვეშ ილხენს ბერუას ოჯახი, მეფე ერეკლეს ქვევრიდან ამოდებულ ღვინოს სვამენ. ბერუა მეფე ერეკლეს იგონებს, თუ როგორ დაამარცხა მან ლეკთა ბელადი გალეგა. მის მოლხენას მუხის ქვეშ ლურჯ, კლდის თავზე

მჯდომარისას, დღეს ის ქვა ხომ მუხის ფესვებს შორისაა მიმაგრებული და მთელი გუთნეულიც ვერ შეარყევს. ძველი მოგონება იცვლება სადღეგრძელოთი. „ღმერთო, მაღალო და პატიოსანო წმინდაო გიორგი, ღვთისმშობელო დედავ, პეტრე-პავლობის მაღალო და ძალო, თქვენ იყავით შემწე-მფარველი მთელი საქრისტიანოსი, ჩემი ოჯახის, ჩემი სტუმრისა. შეიწყალეთ ჩვენი მამა-პაპანი, ყველანი, ვისაც ამ ვენახში უმუშავნია, ვისაც ქვევრი ჩაუგდია და ამ ქვევრის ღვინო გულის წმინდით დაუღვევია!“ ბერუა ლოცავს ერსა და ქვეყანას, იმ კაცს, რომელსაც ძვალსა და რბილში გამჯდარი აქვს მამა-პაპური წეს-ჩვეულებანი, მას, ვინაც კარგად უწყის, რა ვნება და ზარალი მოაქვს გაყრას, გათიშვას. ოჯახის, ქვეყნის საფუძველი ირყევა მაშინ, როცა სიღარიბე ეპარება მას, როცა ერთ ლუკმას ორი და სამი პირი წაეტანება.

ჰაერში გაისმის ნაზი, მაღალი ხმა ზურაბის უმცროსი ქალისა, მოძახილს აძლევენ. გაისმის მრავალჟამიერი. იღვიძებს ბუნება და ამ ხმაზე ნიავიც ფრთებს შლის. „სულიერი და უსულო ბუნება ერთმანეთს გადაეხვიენ“, შეერთდნენ და გარემოს სიტკბოება აგრძნობინეს.

ბერუას კიდევ წარსულში გადავყავართ. იხსენებს ადდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. იმ დღეს, როცა საქართველო გამლიერებული იყო, როცა ერსაც და ბერსაც ერთი ფიქრი და აზრი გააჩნდა, ერთი მიზანი ამოდრავებდა. „მოწმენდილ ცაზე სდავსე გაბადრული მთვარე იდგა. ბედნიერ საქრისტიანოს ისეთი კმაყოფილებით გადასცქეროდა, რომ გეგონებოდათ, ისიც და მისი პაწია შვილებიც-ვარსკვლავებიც

ქრისტეს ადდგომას დღესასწაულობენო“. ვხედავთ მამა-პაპურ ფერხულს, ქართულ შემოძახილს: „წმინდაო გიორგი ცხოველო, ცხოველო,

შენ სალოცავად მოველო!“...

თევდორეს ამ ხმას ბერუას ხმაც შეემატა:

„შეღონებულსა ჩემს გულსა  
შენი წყალობა მოეო, მოეო!“

სიმღერას მოხუცი დარეჯანას ლეკური ცვლიდა. ანთებული სანთლებითა და ხატებით ეკლესიის გარეშემო ლიტონიის შემოვლა იწყებოდა, გაისმოდა გალობა „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მომნიჭებელი“. მაუწყებელი იყო იმისა, რომ ქართველობა ზნეობრივად ამაღლებული, ქრისტეს ნათლით განათლებული ერი იყო. ყოველი ქართველის გულს სულიწმინდის მაღლი ცხებოდა, უფლისადმი შიში და კრძალვა გააჩნდათ. ცაში ანგელოზთა ფერხულს ხედავდნენ, ვარსკვლავებთან ერთად უმტვერო თეთრი ბატკნის გამოჩენას, ნიშანს უფლის წყალობისას, მომავალ სიძლიერეს და სიუხვეს. იმოდღვრებოდა ერი. ხალხი წმინდა ჯვრის წინაშე დებდა პირობას, ეყვარებოდათ ერთმანეთი. ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული იყო თავმდეები პირობის შესრულებისა.

მოთხრობის დასასრულს ნ.ლომოურმა ორიოდ სიტყვით გაგვაცნო არამზადა ბატონის თონიკე ქედმაღალაშვილის ბედი, რომელიც ლუკმა-ლუკმა აჩეხეს თავისივე გლეხებმა. მისი შთამომავლები არიან თეიმურაზ, შალვა და მანუჩარ ქედმაღალაშვილები, შრომას შეუჩვეველი, ბედოვლათი ბატონები, რომლებიც უჩივიან ბერუა ქრისტესიაშვილს მუხრანაულის ვენახის გამო. ბერუას შთამომავალი დათიკა

კარგად გრძნობს, რომ „შიშით და მონური მორჩილებით“ არაფერი გაკეთდება. ის „ტალახით აშენებულ კედელს ჰგავს“, რომელიც განწირულია დასანგრევად. ერთადერთ გამოსავლად ავტორი განათლებას მიიჩნევს. „ზაკონი, ზაკონი უნდაო“.

ნიკო ლომოურის შორსმჭვრეტელი თვალი კარგად ხედავს, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ კერძო მესაკუთრეობა მკვიდრდება, რომ ქვეყნად კაპიტალიზმი ვითარდება. უსაქმურობას და ფუქსავატურ ცხოვრებას შეჩვეულმა ქედმაღალიშვილებმა ცხოვრებას ალღო ვერ აუღეს. ვალში გაყიდეს ბაღ-სასახლეები. არ უგდეს ყური ბერუას, თავიანთ მოურავს. „ათასი გარეშენი, ცხრა მთას იქიდან გადმოთრეულები“ ყიდულობდნენ მათ მამულს და ბერუაზე, მართლაც, „უპრიანი იყო“ შეეძინა მამული.

ბერუა ქრისტესიაშვილი ჭეშმარიტი ქრისტეს შვილია. მისი ოჯახის სიმტკიცე და ურყეობა განაპირობებს ერთიანი, ძლიერი საქართველოს სიმბოლურ სახეს.

ბერუა საძირკველია ერის ძლიერებისა. მას ესმის, აწმყოში „გმირები და ვაჟკაცები ქონდრის კაცუნებად გადაიქცნენ“, რომ მის სახეს „მოსალოდნელი შიშის შავმა ღრუბელმა გადაუარა“, თუმცა სწამს, სანამ ის და მისი შვილები ცოცხლები არიან, მის ქვეყანას არაფერი დაუშავდება.

მწერალი სოფელ ნაზვრევისაკენ მიემართება. ნადვლიანია, ზენა ქარი ქრის. შავი, საავდრო ღრუბლები იშლება. ქუხილი გაისმის. „ამ ქარიშხალსაც, ქუხილსაც და ღრუბელსაც ჩემთან არავითარი საქმე არ ჰქონდათ, რომ იგინი მხოლოდ ბერუა ქრისტესიაშვილის ოჯახის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ, მის გარეშემო იკრიბებოდნენ“...

ასე ამთავრებს მწერალი მოთხრობას.

მწერალი არ შესულა სოფელ ნაზვრევში. დღეს ქართველმა ერმა ეს გზა უკან მოიტოვა. ქრისტეს სისხლს და ხორცს კვლავ ვეზიარეთ. კვლავ ვლოცულობთ. „დაილოცოს ღვთის სამართალი! რაც კინ ნამდვილად იმისგან ჰქონია კაცს მიცემული, ის ადვილად აღარ წაერთმევას!“ – შენიშნავს ნიკო ლომოური. მართლაც, ქართული გენისა და სულიერების წართმევა შეუძლებელია.

ნიკო ლომოურის „ბერუა ქრისტესიაშვილმა“ გამოქვეყნებისთანავე მიიქცია ყურადღება. ლ. ბოცვაძემ 1913 წელს ცალკე წიგნად გამოსცა. რუსულად თარგმნა მათა კახიძემ და გამოსცა 1952-1957 წლებში.

ნ. გოგოლაძე, 82-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

თბილისი, 2007 წელი.